# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი ლ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ჰილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

გენერალ მაიორი თავადი ივანე დავითის ძე ჯამბაკურიან-ორბელიანი უღრმესის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა **კნეინა ხორეშან შალვას ასულის ჯამბაკურიან ორბელიანისასა**, რომელიც აღსრულდა პირველს ამა დეკემბერსა.

გარდაცვალებულის გვამს გაასვენებენ ქაშუეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში პარასკევს, დეკემბრის ოთხს, დილის 10 საათზე.

პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება მისს სახლში 2 და 3 დეკემბერს, დღისით 12 საათზე და საღამოზით 7 საათზე. (2—1)

---

## ახალი ამბავი

*** 30 ნოემბერს იყო დღეობა სემინარიის ეკკლესიისა, წმ. ანდრია პირველ წოდებულის მოციქულისა. მწირველი ბრძანდებოდა საქართველოს ეგზარხოსი პალლადი, თანადასწრებით ალექსანდრე და ბესარიონ ეპისკოპოსთა და მრავალთა მღვდელ-მონაზონთა. ამავე დღეს დანიშნული იყო კრება ანდრიას ძმობის წევრთა. ანგარიშიდამ აღმოჩნდა, რომ ძმობას წელსა ჰქონდა სულ 2,335 მ. და 75 კ. ამ ფულიდამ ღარიბ შეგირდთა გამუდმებულ დახმარებას მოუნდა 1,408 მ., ერთხელად მიეცათ შეგირდებს 235 მ. და 156 მანათიც სესხით წაიღეს შეგირდებმავე.

სემინარიაში წესდების ძალით უნდა სწავლობდეს სულ 187 შეგირდი, მაგრამ რადგან სწავლის სურვილი მეტად ცხოველია, შეგირდთა რიცხვი წელს 295 სულია. სახელმწიფო ხარჯზედ იზრდება სულ 101 ყმაწვილი. არა-სასულ იერო წოდების შვილთა რიცხვი არის 72 ყმაწვილი. ანგარიშის მოხსენების შემდეგ, მისმა ყოვლად უუსამღვდელოესობამ წარმოსთქვა მგრძნობიერი სიტყვა შესახებ ამა ძმობის მნიშვნელობისა და აგრეთვე მასზედ, რომ ყოველი ღონის-ძიება უნდა იყოს ნახმარი, რათა შეძლებამ ძმობისამ იმატოს. თავის მხრით საქართველოს ეგზარხოსმა პალლადიმ შეიტანა 50 მანათი ძმობის კასსაში.

ამის შემდეგ რექტორი სემინარიისა, მამა პაისი, ერთ-ხმით ამორჩეულ იქმნა ძმობის თავ-მჯდომარედ. გამგე კომიტეტის წევრებად ამოირჩიეს არხიმანდრიტნი—მაკარი, ნექტარი, ნიკოლოოზი, მღვდელი შაშიაშვილი და ნიკიფოროვი.

მამა რექტორის სახლში საუზმე იყო გამართული. მრავალი სადღეგრძელო წარმოითქვა. სხვათა შორის მისმა ყოვლად უუსამღვდელოესობამ ბრძანა, რომ ჩემის მხრით ყოველს ღონის-ძიებას ვიხმარ, რაც სასარგებლო მოღვაწედ გავხდე მთელის კავკასიისათვისაო.

*** ტფილისის მოედნებზე შემდეგი ფასები დღესა: პური იყიდება ფუთი თვრამეტ შაურიდგან ხუთ აბაზ უზალთუნამდე, ქერი—თერთმეტ შაურიდგან ცამეტამდე, სიმინდი—ცხრა შაურიდგან ათამდე, კარტოფილი—ორ აბაზიდგან ათ შაურამდე, კომბოსტო—ორ აბაზიდგან ათ შაურამდე, ხახვი—ორ აბაზიდგან ათ შაურამდე, შეშა ურემი ორიდამ ოთხ მანეთამდე.

*** გაზ. „Новое Обоз.“ გვაცნობებს, რომ ბ-ნი ბუნგე და პალაშკოვსკი მოჰრიგებიან ფინანსთა მინისტრს შესახებ დანარჩენ აქციების მისყიდვისა. თუ ეს ხმა მართალია, ამიერ-კავკასიის რკინის გზა მალე გადავა ხაზინის ხელში.

*** იმავ გაზეთის სიტყვით, მეჰურჰლის ქუჩაზე მონათლულმა ურიამ ვანნიკოვმა დაარჩო ქალიშვილი თავისის საყვარლის ციკვირიძისა. დამნაშავე დაიჭირეს. თუ არ პოლიციის მეცადინეობა, ვანნიკოვს ხალხი ლუკმა-ლუკმა აქცევდა, ისე იყო აღელვებული ამ საშინელის დანაშაულობის გამოვო.

*** ზუგდიდი: ბ-ნ სპირიდონ ნარაკიძემ ამას წინად განიზრახა ფრიად კეთილი და სასარგებლო საქმე: დაარსება ზუგდიდსა და ხობში ქართულ წიგნთ-საცავისა, სადაც უკვე გამოუგზავნია უკეთესი ნაწერები თუ თხზულებანი ჩვენის ძველისა და ახალის მწერლობისა. სასურველია, ეს კეთილი საქმე განხორციელდეს და ჩვენში ცოტადი მაინც გავრცელდეს წიგნების მკითხველთა რიცხვი.

*** იქიდამვე: 19 ნოემბერს ზუგდიდში მოწოდებულ იქმნა ყმაწვილკაცობა მორიგ ჯარში გასაყვანად. კენჭი შეხვდათ ოც-და-ცამეტს კაცსა, რომელნიც ძლიერ ესწრაფვებიან იარაღის ხმარების მიჩვევას და შესწავლასა. გზის დასალოცავად სადილი გაუმართა ჯარის-კაცებს ბ-ნმა დავით ჰქდიამ.

*** სოფელი ხოულე: 24 ნოემბერს სცენის მოყვარეთ გამართეს აქა წარმოდგენა იმ აზრით, რომ შემოსული ფული უნდა იყოს გადადებული მოსწავლეთათვის, რომელნიც მომავალ წელს შეასრულებენ სწავლას სოფლის სკოლაში. წარმოადგინეს „ბაიყუში“ და წაიკითხეს „დიმიტრი თავ-დადებული“. რაც შეეხებოდა მოთამაშეთ, ყველა ღონის-ძიება მოიხმარეს, რომ წარმოდგენას ცოცხლად და მხიარულად ჩეევლო და საზოგადოებაც სრული კმაყოფილი დარჩა ამათს თამაშობაზე.

ბ-ნ ტყეიაველმა ისე მშვენიერად წაიკითხა „დიმიტრი თავ-დადებული“,

---

## ფელეტონი

### სიზმარი

#### კოლმარის მოსამართლესი.

(ზღაპარი ა. დოდესი)

ვიდრე ფიცს მიიღებდა და აღთქვამდა, რომ ერთგული ვიქმნები გერმანიისაო, მოსამართლე დოლინგერისთანა ბედნიერი არავინ არ იქმნებოდა დედამიწის ზურგზე. დოლინგერი, მოსამართლედ იყო კოლმარის სამსჯავროში. მოსამართლე დოლინგერი დილის ამბით შედიოდა სამსჯავროში, თავზედ კოხტად ეხურა მოსამართლეს ქუდი, დიდს მუცელზე ხელს ისვამდა კმაყოფილებით და თავის ვარდის-ფერის ტუჩებით ბედნიერად იღიმებოდა და დასცქეროდა თავის პატივცემულს ლაბაბიანს ნიკაპს, რომელიც ლამაზად იყო მოსვენებული ბატისტის ყელსახვევზე.

დოლინგერი რომ შევიდოდა და დაიჭერდა თავის ალაგს, ისეთის ბედნიერისა და განებივრებულის კაცის სახე ჰქონდა, რომ გეგონებოდათ, საცაა იტყვის: იჰ, რა კარგია ეხლა პატარა ხანს ტკბილად ჩათვლემა და თვალის წატყუებაო! რადაც უნდა ღირდა, რომ დაგენახათ მერე, რა ლამაზად გაშლიდა ხოლმე თავის ზორბა ფეხებს, რა დინჯად და წყნარად გასწორდებოდა ხოლმე თავის რბილსა და ტყავ-გადაკრულს სავარძელში! ამ სავარძელის წყალობით შერჩა დოლინგერს მშვიდობიანი და უწყინარი ხასიათი, ვარდის-ფერი და გალაქლაქებული სახე, თორემ ხუმრობა ხომ არ არის, ოც-და-ათი წელიწადი მეტი იყო, რაც მოსამართლეობდა და ამოდენა ხნის განმავლობაში სულ სავარძელზედ იყო თითქმის დაკრული.

საწყალი დოლინგერი! სწორედ ამ ტყავ-გადაკრულმა სავარძელმა-კი დაჰღუპა უბედური! ისე უყვარდა, ისე შეეჩვია ამ სავარძელსა, რომ გერმანელობა და პრუსიელობა ირჩია და ეს საყვარელი სავარძელი-კი ვერ დასთმო.

— იჯექით, ბ-ნო დოლინგერ თქვენს ალაგზედ, იჯექით,—უბრძანა მოსამართლეს იმპერატორმა ვილჰელმმა, და აი დოლინგერიც ზის,—ზის დღევანდლამდე თავის წინანდელს სამოსამართლო სავარძელზე კოლმარში და დამშვიდებით ბჭობს და ასამართლებს ხალხს ბერლინის სახელითა.

ცვლილებით-კი არა შეცვლილარა მას უკან: კოლმარის სამსჯავრო სწორედ ისეთივეა, როგორიც წინად იყო, ისეთივე მიყრუებული, ისეთივე მოსაწყენი; დარბაზიც წინანდებურადვე დაღვრემილი და მოწყენილია: იგივე ცარიელი, ტიტველა კედლები, რომელსაც მოსწყენია აბდა-უბდა ლაპარაკი ადვოკატებისა, იგივ გახეხილი და მეტის ხეხვისაგან გაპრიალებული სკამები, წინანდებურივე მაღალი ფანჯრები, რომელიც მიტკლის ფარდებით არის ჩამოფარებული და ძლივს ერთს ბეწვა სინათლეს ჰფენს დარბაზს, იგივე ქანდაკება ჯვარცმულის ქრისტესი. მას შემდეგ, რაც კოლმარის სამსჯავრო გერმანიის საბრძანებელი შეიქმნა, ღირსება თვისი სრულიადაც არ დაუკარგავს და სახელი თვისი არაფრით არ შეუბღალავს: როგორც წინად, ეხლაც ამ დარბაზს ამშვენებდა ბიუსტი სასამართლოს ყოვლად-მოწყალე მფარველისა. ყოველივე ეს ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ.. მაინც დოლინგერი თავის ქერქში ვერ იყო. ხან ასე გადატრიალდებოდა ხოლმე, ხან ისე, პატივცემული მოსამართლე თავის სავარძელში, ხან როგორ სცდილობდა, ხან როგორ, რომ უფრო ხერხიანად, უფრო მოსვენებით ჩამჯდარიყო თავის სავარძელში, მაგრამ მაინც არ იქნა და წინანდებურად ტკბილად ველარ წაატყუა თვალი და ვერ ამოუშვა ხვრინვა; ათასში ერთხელ ძლივს ჩასთვლემავდა ხოლმე ბჭობის დროს, მაგრამ მაშინაც უსათუოდ საშინელი სიზმრები უნდა მოლანდებოდა...

აი, ესიზმრა დოლინგერს, რომ ვითომ ასულა ერთის მაღალის მთის წვერზედ, ისეთის მთის წვერზედ, როგორიც არის, მაგალითად, ხონეკისა ანუ ბალონის მთა ელზასში. როგორ ასულიყო, ან რად ასულიყო ამ სიმაღლე მთაზე, საცა ორიოდე ჩხაკია ხისა და აუარებელის ქუნქლის-მეტი არა არის-რა და მერე ისიც თავის სამოსამართლო ტანსაცმელითა და სავარძელითურთ,—ეს ვერას გზით ვერ გაეგო და ვერ მოეაზრებინა თვით დოლინგერს. ჰგრძნობდა მხოლოდ, რომ ცივმა ოფლმა დაასხა და რაღაც მოჩვენების შიშით ცახცახმა აიტანა. აი, ამოდის სისხლივით წითელი მზე რეინის გაღმა მხარესა, შვარცვალდის ტყეს იქითა, და რაც უფრო მაღლა ადის მზე იქით, აქ, ტანნისა და მიუნსტერის ხეობაში, მთელს ელზასში უცნაური ალიაქოთია, ხმაურობაა, ფეხის ხმა ისმის, ურმებისა და ეტლების ჭრიალია. ხმაურობა და ალიაქოთი მატულობს, უახლოვდება დოლინგერს და სცოდავს მოსამართლეს უარესად უწუხს გული. კოლმარის მოსამართლე ჰხედავს, რომ ამ მთის მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე გამწკრივებულან და მოდიან გლოვითა და ზარით ურმები, თითქო დაუსრულებელი ქარავანიაო; სრულიად ელზასის მკვიდრნი აყრილან ერთბაშად და ამ მთის ბილიკით აპირობენ გარდასახლებას.

აი დიდი ურმები; შიგ ყევარ-ყევარი ხარი აბია; ის დიდი ზეწრებიანი საძნე ურმებია, რომელსაც მკის დროს შესდგამენ ხოლმე თელებზე ოქროს ფერის ძნების საზიდავად. ეხლა ამ ურმებზე სამშობლო მინდვრის ძნები-კი აღარ უდევს, საშინაო ავეჯი, საოჯახო ბარგი-ბარხანაა საპალნედ დადებული. ეს ურმები გაუვსიათ ჰავლებამდე და ზედ დაუყრიათ ტახტები, შკაფები, ქილები, ჯარა-საჩეჩლები, პატარა ყმაწვილების მაღალი სკამები და წინაპართა სავარძელნი,—ეს ძვირფასნი მოსაგონებელნი წარსულთა დროთა, მხოლოდ დღეს მოშორებულნი თავიანთ მყუდრო ალაგსა, ძვირფასსა და საყვარელს სამშობლო კერასა. მთელნი ოჯახნი და სახლობანი მიემგზავრებოდნენ ამ ურმებით. იმიტომ იყო, რომ ასე მძიმე-მძიმედ მიიწევდა წინ თითოეული ურემი და ასე გულ-საკლავად ჰრიალებდა. ხარები ძლივს ერევოდნენ დასაპალნებულს ურმებს, თითქო თვით მშობელი დედამიწა ებღაუჭება თელებს და არ უშვებსო, თითქო ამ მიწის გამშრალი გორახი, რომელიც მიჰკეროდა ფარცხებს, გუთნებს, თოხებს და ფოცხებს და უფრო ამძიმებდა საპალნეს, ერ მოჰშორებია ჯერ კიდევ დატოვებულის მინდვრის კვლებსა და ხნულებსაო. ურმებს მოსდევდა უკან ხმა-გაკმენდილი, დაღვრემილი ხალხი ყველა ნაირის წოდებისა და ჰასაკისა. აქ იყვნენ მოხუცნიცა, რომელნიც ძლივს მოათრევდნენ ფეხებს და ყავარჯნებს ებჯინებოდნენ, დამბლად დაცემულნიცა,

რომ ბევრს ხელსახოცი არ მოუშორებია თვალიდგან. იყო აგრეთვე ცოცხალი სურათები, რომელიც ძალიან მოეწონა ხალხსა.

*** დიდი ხანი არ არის, რაც სოფელი აბაშა დაბად გარდაიქცა. ამაზედ ბ-ნმა აველიანმა ბევრი მეცადინეობა იხმარა. ამ დაბაზედ შემოერთებულია კვათანის თემი, რომელსაც დიდის ხნიდგან ჰქონდა გამართული სასოფლო სკოლა. 1886 წელს აქაურის საპატიო კაცების მეთაურობით მოწოდებულ იქმნა საზოგადოება, რათა ღარიბი და მცირე სასწავლებელი გამდიდრებულიყო და გადაეკეთებინათ ორ-კლასიან სასწავლებლად. საზოგადოებას ძრიელ ჭკუაში დაუჯდა ეს აზრი, შეადგინეს განაჩენი, რომ მოემატოს შენობასა, მოწოდებულ იქმნეს ორი მასწავლებელი და ჯამაგირად დაენიშნოთ 750 მანათი—პირველს 400 მ., მეორეს 350 მანათი. ეს გარემოება წარდგენილ იქმნა უმაღლესს მთავრობისადმი. მთავრობამ დაამტკიცა ორ-კლასიანი სასწავლებელი და კიდევაც რაოდენიმე შემწეობა დაუნიშნა ხაზინიდგან.

მაგრამ ერთმა გარემოებამ ისეთი დაბრკოლება მისცა სკოლის საქმეს, რომ იქნება აღარც ერთ-კლასიანი-ღა შეინახოს ხალხმა, არა თუ ორ-კლასიანზე დახარჯოს ფული.

## სასამართლოს მატიანე

გუშინ, 30 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში ერთი საყურადღებო საქმე გაირჩა. მართალია, ეს საქმე იშვიათი მოვლენა არაა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ მაინც ყურადღების ღირსია, რადგანაც გვიჩვენებს—თუ რა სიფრთხილეა საჭირო, როცა ვისმე ტფილისის მცხოვრებელს ჰსურს მოსამსახურის დაჭერა და ყოლა. ჩვენს ქალაქში, რამოდენადაც ვიცით, არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სადაც კაცს შეეძლოს შეიტყოს ვინაობა და ზნეობითი ღირსება მოსამსახურისა. ამისათვისაც მოხდება ხოლმე, რომ ტფილისის მცხოვრებელი მოსამსახურეს იჭერს ალალბედობით, იმის წარსული ცხოვრება და ხასიათი არ იცის და ხშირად მარტო თავდების სიტყვას ემყარება,—მოიყვანს მოსამსახურე რომელსამე თავის ნაცნობს, რომელიც იტყვის ესა-და-ეს მოსამსახურე კეთილი და საიმედო კაციაო და საქმეც ამით თავდება; სახლის პატრონი თავდებს ჩამოართმევს ხოლმე ხელ-წერილს, რომ მოსამსახურე კარგი და ზნეობიანიაო და სხვა არაფერია საჭირო. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ამ გვარი თავდებობა საკმაო არა ყოფილა.

ამ სამის წლის წინად ტფილისის ვაჭარს მელკიკოვს მოსამსახურედ დაუჭერია ერთი ვიღაც ახალგაზდა იმერელი ბიჭი, რომელსაც თავდებად დასდგომია თავისი ნათესავი, შორაპნის მაზრის მცხოვრებელი, ივანე ნოზაძე. ამ უკანასკნელს მელკიკოვისათვის, ჩვეულებისამებრ, წერილი მიუცია:—მე ვარ პასუხის გამცემი და თავმდები, რომ ეს ჩემი ნათესავი, რომელსაც თქვენთან მოსამსახურობა უნდა, საიმედო კაციაო. მელკიკოვიც დათანხმებულა ამ ცარიელს და ლიტონს თავდებობას. გასულა რამდენიმე ხანი. ერთხელ, საღამოს რვა საათზედ, როცა ალა მელკიკოვი თავის ოთახში ტახტზე წამოწოლილი გულ-მშვიდად და არხეინად ჩაის შეექცეოდა, მოსამსახურე და იმისი თავდები ი. ნოზაძე უეცრად თავს დასხმიან, ყელში წაუჭერიათ და მუქარით უთქვამთ, ფული მოგვეცი, თორემ აქვე მოგკლავთო. როცა მელკიკოვს უარი გამოუცხადებია და წინააღმდეგობა გაუწევია, ი. ნოზაძეს უშიშვლია ხანჯალი და მარცხენა ხელი მოუჭრია საბრალო მელკიკოვისათვის. მაგრამ არც ამის შემდეგ დათანხმებულა მელკიკოვი ფულის და ოქროს საათის მიცემაზედ და ძალ-ღონე უხმარია, რომ როგორმე მოეშორებინა თავიდამ ბოროტ-მოქმედნი; ბრძოლის დროს ი. ნოზაძეს რამდენჯერმე თავში და სხვა ადგილას ხანჯლით დაუჭრია თავისი მსხვერპლი. ბოლოს დროს ყვირილზედ და ხმაურობაზედ მეზობლები შეყრილან და ავაზაკები გაქცეულან, თან-კი ნაცარცვავი ვერა წაუღიათ-რა.

ოლქის სასამართლოს მსწრაფლად განეხილა საქმე მელკიკოვის მოსამსახურისა და მიესაჯა ოთხის წლით კატორგაში გაგზავნა. ივანე ნოზაძე-კი დამალულიყო, იმის შესახებ გამოძიება შეეჩერებინათ და მხოლოდ შარშან ტფილისის ბოქაულს სვიმონაშვილს დაეჭირა შორაპნის მაზრაში თავი ბრალდებული, ი. ნოზაძე, რომელიც დაეპატიმრებინათ მეტეხის ციხეში. აქ, ამ საპატიმროში, ი. ნოზაძეს ღამე, ძილის დროს, დანით დაეკლა ერთი ვიღაცა ტუსაღი ბაქრაძე, იმ მიზეზის გამო, რომ შენ აჩვენე ბოქაულს სვიმონაშვილს ჩემი ბინა და დამაჭერინეო. ამ გვარად ი. ნოზაძეს ორი დანაშაულობა ბრალდებოდა: ვაჭრის მელკიკოვის მოკვლის განზრახვა იმის ქონების გასაცარცვავად და ტუსაღის ბაქრაძის მოკვლა. ასეთი კაცი აღმოჩნდა სასამართლოს წინ ი. ნოზაძე, რომელიც სხვას უდგებოდა თავდებად, კეთილ საიმედო მოსამსახურობაზედ!.. სასამართლომ მიუსაჯა ი. ნოზაძეს ოცის წლით კატორგაში გაგზავნა.

ჩვენ თუ ამ საქმეს მივაქციეთ ყურადღება, მარტო იმიტომ, რომ გვეჩვენებინა რამდენად საჭიროა ქ. ტფილისისათვის ისეთი დაწესებულება, სადაც კაცს შეეძლოს უფრო ჯეროვანი საბუთები შეჰკრიბოს მოსამსახურის ავ-კარგიანობაზედ და არ მიენდოს უცნობს მოსამსახურეს, თორემ აწინდელი თავდებობა საკმაო არ არის.

ნ. უ—ლი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ივრის ხეობა.** თუ ჩვენს ავ-კარგიანობას იკითხავთ, უნდა მოგახსენოთ, რომ ქურდობამ და ყაჩაღობამ ძალიან იმატა, ასე რომ იმათზე საუბარი რომ გავმართო, ამ წერილში ვერც-კი დავტევ ყოველივეს, რისაც გამოქვეყნება საჭიროდ მიმაჩნია. ამიტომაც ჩამოვთვლი და მოგახსენებთ რამდენსამე ამბავს, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერია ჩვენში ავ-კაცობა.

ღვინობისთვის ნახევარში რვა შეიარაღებული ყაჩაღი დაბინდების უმალ წააწყდა ერთს გარეჯელს გლეხს, რომელიც მინდორში ედგა თავის უღელ ხარს; რასაკვირველია, წართმევა მოინდომეს და ტყუილ-უბრალოდ იარაღით წაუტიეს გლეხს, რომელიც იმ წამს დადგა მუხლის თავებზედ და ცრემლის-ფრქვევით ევედრა, არ დაელუპნათ და არ წაერთოთ ის მისი თვალის სინათლე—უღელი ხარი. ყაჩაღებმა შეიბრალეს, მაგრამ წინ გაიგდეს და უბძანეს, სადა ბევრი ცხენია, ან საქონელი ვისიმე, იქ მიგვიყვანეო. ისიც გაუძღვა სოფლის ნახირისაკენ; ყაჩაღებმა დაარჩიეს ცხრა საუკეთესო ცხენი და გასწიეს... რამდენისამე ხნის შემდეგ შვიდიოდე ყაჩაღი დაეცა შებინდებისას ქურდაშვილების ძროხას ბინას, დაუცალეს მწყემსებს თოფები, მწყემსებმა მოკურცხლეს სოფლისა და ჩაფრებისაკენ, მაგრამ ჩაფრები არამც თუ გაჰყოლოდნენ, არამედ დაუწყეს რწმუნება, რომ აილანები ქმნებათ, თქვენ ნუ წახვალთ, თორემ ამოგჟუჟავენო; სანამ სოფლიდან ჩავიდოდა ხალხი, ყაჩაღებს თხუთმეტამდე საუკეთესო სული ძროხა დაერჩიათ და წაეყვანათ.

ხაშმელ კაცს ზედ ურმის თავზე დაბმული უღელი მშვენიერი მოზვერი ახსნეს; მალე მოიკითხა და მაშინვე ნაცნობ თათართან ზემო მუღანლოში გაიქცა. „ყონაღმა" იმავ ღამესვე წაიყვანა ერთ დიდ თავლაში, უჩვენა ასამდე ნაქურდი საქონელი და უთხრა: „ტყუილად-კი ნუ დაიჩემებ და თუ შენები იცნა, წაასხიო". გლეხმა აქ ვერ იპოვა თავისები, მაშინ ყონაღმა მეორე თავლაში წაიყვანა ისევე ნაპარავ საქონლით სავსეში—აქაც არ აღმოჩნდნენ იმისი მოზვრები. მაშინ ყონაღმა უთხრა: ახლავ წადი და ნავთლუღში გათენებამდის საყასბოს გზასთან ჩაუჯექ, უეჭველად იქით წაიყვანდნენო; გლეხი ასე მოიქცა და სამის ამხანაგითურთ იმავ ღამ დაიბადა საყასბოს გზაზე ნავთლუღის პირში. გათენდა თუ არა და სამმა თათარმა ზედ-კი მოაყენეს მოზვრები; პატრონმა ერთს ხანჯალი დაჰკრა, იმისმა ამხანაგმა თოფი ესროლა ქურდებს, მაგრამ დაჭრილი ქურდები მაინც გაიქცნენ და მოზვრები-კი პატრონებს დაუტოვეს. ამ შემოდგომაზედ პატარა სოფელმა გიორგი-წმინდამ მონაპარი ეხლახან ყრილობაზე გამოიანგარიშა და ას ორმოცი სული ცხენი და ძროხა შესდგა. საგარეჯოს ორასზე მე-

რომელნიც მხრებზედ შეესხათ თავის ახალგაზდა და ზორბა შვილი-შვილებს, პატარა ხუჭუჭ-თმიანი და ოქროს ქოჩრიანი ყმაწვილებიც ბამბაზიონის შალვრებითა და ძუძუთა ყრმანიც, რომელნიც გულზე მიეხუტებინათ თავიანთ დედებს... ყველანი აქ იყვნენ, ყოჩაღნი და ჯან-მრთელნიცა, უძლურნი და ჯან-მილეულნიცა, ისინიც, ვინც მორიგ ჯარში იყვნენ მერმისს წასასვლელნი და ისინიც, ვინც ცოცხალი გადარჩენოდა საშინელს ომსა,—სახელდობრ, დასახიჩრებული ბეგთაროსანნი მეომარნი, რომელნიც რის ვაი-ვაგლახით მიკინკილობდნენ ყავარჯენითა, გაყვითლებულნი, წამებულნი მეთოფენი დაბრანძულის მუნდირებითა. ყველამ თავ-მოწონებით და დიდ-გულად გაიარეს გზა იქ, საცა იჯდა კოლმარის მოსამართლე და, როცა დაუმხარდამხარდნენ დოლინგერს, თითოეულმა მათგანმა ზურგი შეაქცია და საშინელის ზიზღითა და სიძულვილით გაუარა გვერდზედ.

საწყალი დოლინგერი! რა ნაირ უნდოდა დამალულიყო, გაქცეულიყო სადმე... მაგრამ არ შეიძლებოდა; იმისი სავარძელი მიჰკვროდა მთას, რბილი ბალიში ტყავისა მისწებებოდა სავარძელს და თავად დოლინგერი მისჯაჭვოდა ამ ბალიშს. ახლა მიხვდა მოსამართლე, რომ იმისი სავარძელი იგივე სამარცხვინო ბოძია და იმიტომ აუყვანიათ ამ სიმაღლე მთაზედ, რომ მისი სამარცხვინო საქციელი დიდს მანძილზე სჩანდეს... ურმები და ქარვანი კვლავ მიდის, მიდის სოფელ-სოფელ; ისინი, ვინც შვეიცარიის საზღვრებიდამ აყრილან, მიერეკებიან დიდ თხა-მცხვარს, საქონლისა და ცხენის ჯოგებსა; ვისაც საარის მდინარეს კიდენი დაუტოვებია, ისინი მიასრიალებენ რკინის გზაზე პატარ-პატარა მადნის-მთხრელთა ვაგონებს, რომლებიც დატვირთულია იმათის ხელობის შესაფერ მძიმე იარაღითა; მათ მისდევს სიარულითა ქალაქნი და დაბანი, მუშები ქარხნებისა, საფეიქროებისა, სადაბღოებისა, მიდიან ჯგუფ-ჯგუფად მოქალაქენი, მღვდელნი, რაბინნი და ხახამები, წევრნი საქალაქო საბჭოსა და გამგეობისანი,—მოჩანან ათას გვარი ფერადები, შავი, წითელი და ჭრელ-ტანისამოსიანები. აი, გამოჩნდა კოლმარის სამსჯავროცა: მოსამართლეებს წინ მოუძღვის მათი მოხუცი თავმჯდომარე... დოლინგერს ჰკლავს, არჩობს სირცხვილი, უნდა ხელები მიიფაროს სახეზედ, მაგრამ დადამბლავებია და ვერ ახერხებს; უნდა თვალები დაჰხუჭოს,—ქუთუთოები აღარ მოძრაობენ, აღარ ემორჩილებიან. თითქო ბედის წერას ასე დაუწესებიაო, დოლინგერი იძულებულია უცქიროს და დაინახოს ყოველივე, იჯდეს აქ, ასეთს საჩენ ალაგას და უყუროს ყველა თავის ამხანაგს, რომელიც იმის გვერდზედ გაივლის და ზიზღითა და მრისხანებით შეჰხედავს.

საშინელია მდგომარეობა მოსამართლესი; სირცხვილი და სიკვდილია მისთვის ასეთი ყოფა! მაგრამ უარესი საშინელება და სირცხვილი ის არის, რომ სცნობს ხალხში თავის საყვარელს მახლობელთა და ისინი-კი ისე იქცევიან, ვითომ ვერა სცნობენ დოლინგერსა. იმისმა ცოლმა და შვილებმა თავი ძირს ჩაჰღუნეს და ისე გაუარეს ახლო. ეტყობოდათ, რომ ისინიც სირცხვილით იწოდნენ და იდაგებოდნენ... პატარა მიშელმაც-კი, ამ მისმა სიცოცხლემა და თვალის-ჩინმაც, ისე გაუარა ახლოს, რომ ზედაც არ შეჰხედა. მხოლოდ მოხუცებული თავ-მჯდომარე სასამართლოსი შეჩერდა პატარა ხანს და უთხრა:

— წამოდით ჩვენთან, დოლინგერ. აქ ნუ დარჩებით, ჩემო მეგობარო...

მაგრამ დოლინგერს ადგომა არ შეუძლიან. საცოდავი იწევს, ბორგავს, შფოთავს, ჰყვირის,—მიშველეთ, ამაყენეთო, მაგრამ ყოველივე ამაოა და მიმავალნი კვლავ მიდიან, განაგრძობენ გზასა. გადის საათი, მეორე, მესამე და, როცა დასაღამოვდამდა, წამსვლელნი აღარა სჩანდნენ, საშინელი დუმილი ჩამოვარდა ქვეყნად. ამ დუმილმა მოიცვა ძირს ხეობანი, საცა თეთრად მოჩანდა სამრეკლოები და შავად იყურებოდა გამურული ბუხრები ქარხნებისა და ფაბრიკებისა. ელზასი სრულიად გაიხიზნა. დარჩა მხოლოდ ერთად-ერთი კოლმარის მოსამართლე, ვითარცა მილურსმნული სამარცხვინო ბოძზედ, დარჩა ზედ-მიკრული თავის სავარძელზედ და ფეხი აღარ მოიცვალა.

...უცბად გამოჩნდა სხვა სურათი: გამოჩნდა მწკრივად არიგებ-ჩარიგებული ურთხელი და ნაძვის ხეები, შავად შეღებილი ჯვრები, საფლავები, მგლოვიარე ხალხი... ეს კოლმარის სასაფლაოა, დიდის ამბით და ყოფით ასაფლავებენ ვიღასაც. ქალაქის ყველა სამრეკლოზედ სამგლოვიარო ზარებსა ჰრეკენ... გარდაცვლილა წევრი სასამართლოსი დოლინგერი და იმას აბარებენ მიწას. სიკვდილმა შესძლო ის, რასაც სახელი და ღირსება ითხოვდა და ვერ-კი შეიძლო: სიკვდილმა აჰგლიჯა ბოლოს მოსამართლე თავის სავარძელსა და სიგრძეზედ გაშოტა ის კაცი, რომელიც ასეთის გამუდმებულის აჭინებით იჯდა თავის სავარძელზედ და არას გზით ფეხს არ იცვლიდა თავის ალაგიდამ.

იმაზედ ძნელი არა არის-რა, რომ კაცმა თავისი თავი მკვდარი ჰნახოს სიზმარში და თვითვე იგლოვოს თავისი გარდაცვალება. გულ-დამწვარი და გულ-ჩათუთქული დოლინგერი თვით შეჰყურებს თავის დასაფლავებასა. სიკვდილზე უფრო მეტად ის უკლავს კიდევ საწყალს გულსა, რომ ამოდენა ხალხში, რომელიც ჯარივით შემორტყმია გარშემო იმის საფლავს, არც ერთი მეგობარი არ ურევია, არც ერთი მახლობელი, გულ-შემატკივარი, ნათესავი არ არის, არც ერთი კოლმარელი, არც ერთი აქაური მკვიდრი არა სჩანს,—სულ მხოლოდ პრუსიელები და მარტო პრუსიელები არიან! საპატიო ამალაში პრუსიელი ჯარის-კაცები არიან, კუბოს წინ მიუძღვიან წევრნი პრუსიის მაღისტრატურისა, უკან მისდევენ იგინივე; სამგლოვიარო სიტყვანი, რომელსაც ამბობენ მის საფლავზე,—პრუსიელების სიტყვანია; ის მიწაც-კი, რომელიც გულზე დააყარეს და რომელიც ისეთი ცივი და მძიმე ჰგონია საცოდავსა, ისიც-კი პრუსიელების მიწაა!

უცბად ხალხმა მიიწ-მოიწია და დიდის მოწიწებით გზა მისცა ვიღასაც; საფლავს მიუახლოვდა თეთრად ჩაცმული, წამოსადეგი ბეგთაროსანი, ამ ბეგთაროსანს წამოსასხამი ახხია და, როგორც ეტყობა, წამოსასხამ ქვეშ გვირგვინი უჭირავს დაუჭკნობელ ყვავილთაგან დაწნული. ხალხში გაისმა:

— ბისმარკი... თვით ბისმარკიო!...

კოლმარის მოსამართლე წევს კუბოში და დამწვარ-დადაგული ჰფიქრობს თავის გულში:

— არა ვღირს ვარ, დიდს წყალობას მანიჭებთ, თქვენო უგანათლებულესობავ... მაგრამ თქვენს მაგივრად, რომ ეხლა აქ ჩემი პატარა მიშელი იყოს...

მოისმა ხმა-მაღალი ხარხარი და შეაწყვეტინა მწარე ფიქრი დოლინგერს. ხარხარი იყო მეტად უგუნური, უმართებულო და ხანგრძლივი.

— რა ამბავია, რა მოხდა? ჰფიქრობს შემკრთალი მოსამართლე.

წამოჯდა კუბოში და იყურება... თავადმა ბისმარკმა დიდის მოწიწებით დასდო საფლავზედ იმისი ტყავ-გადაკრული ბალიში, მისი საყვარელი ბალიში სავარძლისა. ამ ბალიშს შემდეგი ზედ-წარწერა ამშვენებდა:

მოსამართლე დოლინგერს,
მაღისტრატურის საოცარს შვენებას,
ნიშნად ღრმა სინანულისა.

სასაფლაოზე ყველამ ხარხარი დაიწყო; ფერდები დაეწყდათ სიცილით. პრუსიელთ თამამის და თავ-წასულის ხარხარისაგან შეირყა ქვითკირის კედელნი აკლდამისა, რომელშიაც კოლმარის მოსამართლედ ნამყოფი გულ-ამოსკვნით ქვითინებს და სირცხვილით იწვის, რომ მიწასთან გაასწორეს და საშვილი-შვილოდ, სამარადისოდ მასხარად აიგდეს...

გრ. ყ—ძე

ტი შეუდგება, პატარძეული და ხაშმა ხომ, როგორც ხალხი ამბობს, მეღვინოს ლუკმა გახდა ამ შემოდგომაზედ. აი, ესეთია აქ ქურდობის საქმე და პატრონი და მშველელი-კი არსაიდამა სჩანს...

—

მეორე ულირსი საქმე ჩვენის ხეობის მცხოვრებელთა სოფლის მოხელეების უთავკარიგობის გამო გვემართება, მეტად ურიგოდ იქცევიან ეს ჩვენი „წარმომადგენელნი“... აი მაგალითები: იქმნება გაგვეგონოთ, რომ ჩვენს ხეობაზედ, სოფ. საგარეჯოს, გიორგი-წმინდას, ნინო-წმინდას, ანთოკს, აღბულაღს და მარიამ-ჯვარს, მინდორი და სახნავ-სათესი ერთმანეთ შორის გაუნაწილებელი აქვთ. ამ სოფლების მოხელეები ბოროტ-მოქმედობენ თავიანთის უფლებით და თავიანთ ნებაზე ამ მინდვრებში აყენებენ საბალახოდ გარეშე ხალხის საქონელს. ერთმა მამასახლისმა წელს ამ რიგად სამასი თუმანი აიღო, მეორემ—ასი და მესამემ—ას სამოცი. თითონ მცხოვრებლების ჭირნახული და საქონელი აქ ვიღას აგონდება! მოხელეებს აუცილებლად სოფლის ტყარუკა და უსაქონლო მეგომურნი და ერთმანერთის ჯიბრზედ ერთი რომ რომელისამე თუმის ცხვარს ას ხუთ მანეთად ბუუნებდეს, მეორე სამ მანეთს ეუბნება, ოღონდ ფული მას მისცენ... საწყალი სოფლელები შეკრიბებიან მოსალაპარაკებლად, მოხელეები ყრილობას დაჭშლიან, ანგარიშის ჩამორთმევას მოუნდომებენ და მოხელეები მოწმებს აშინებენ მუქარით... ასეთის ოინებით ბრაზზე მოსული ხალხი ამ წასულ კვირა დღეს დაეცა ორის სოფლის მამასახლისს სოფ. საგარეჯოში და ძალიან სცემეს ისინი... მაგრამ ცემა ამ გვარ სულდგმულებს არაფრად მიაჩნიათ. მოხელედ ნამყოფი კაცი ჩვენში, თავის ხელობის ერთის წლის ასრულების შემდეგაც-კი, გაიძახის ხოლმე: „მცემეთ, ოღონდ ფული-კი ავიღოვო“... მოხელეების გატყეპა-კი სასოფლოდ იციან ხოლმე ჩვენს ხეობაში...

სოსო

## წერილი ივრის ხეობიდამ

ჩვენ მხარეს მარტის დღესავით იცვლება ბოქაულები; ამ გარემოებას, ცოტა არ იყოს, მოხელეების გარყვნა და აგრეთვე ქურდობის გაძლიერებაც უნდა მოზდევდეს. მართლაც და ორს წელიწადში ხუთი გამოგვიცვალეს. საქმეების ჩაბარგამობარებას ვერც-კი ასწრობდნენ ხოლმე. ამ გასულებმაც ასტეხეს უტუატი „კლიაზნი უჩასტკიაო?“ მართლა-და სულ იმას გაიძახიან,—„კლიაუზნიკები ხართო“, და არც ბოქაულები და არც სხვა მოსამსახურენი არა ყაბულობენ ჩვენში ცხოვრებას. ესენი უფრო „ნემეცების“ სოფელს სართიჭალას რჩეობენ... მომრიგებელი - მოსამართლეც-კი, რომელიც ჩვენთვის დანიშნეს, ტფილისში მოათავსეს და ჩვენ ორმოც-და-ათ ვერსტამდის უნდა განვლოთ უბრალო საქმისათვის...

თუმცა ჩვენი მეთაური სოფელი, საგარეჯო, უფრო ღირსია, ვიდრე ცხინვალი, ან სხვა ამ გვარი დაბა სოფელი, ექიმისა და ბებიისა, მაგრამ ყურის მგდებელი არავინა გვყავს. გავლენიანი ჩვენში არავინ ცხოვრობს, ჩვენთვის დანიშნულნი მოსამსახურენი სხვაგან სცხოვრობენ,—ეს „ლესნიჩიო“, ეს აქციზის „ჩინოვნიკიო“, ეს ბოქაული და ეს მომრიგებელი-მოსამართლეო... შიგ ჩვენშიაც, რაც დავიწყეთ, ყველაში ხელი გვეშლება. ბანკი ხომ ბანკს აღარა ჰგავს; იმისი კასსა ყირამალა გდია და ფულებიც, დავთრებიც, ვექსილებიც და საქმის წარმოებაც სულ ერთის ხელშია—არც წესდებას-ღა უგდებენ ყურსა და არც სხვა რასმე!... დეპო ხომ, თქვენი მტერი რომ ის ყოფაშია! ეჰ, დავანებებ ამ იერემიას გოდებას თავსა, თორემ ჩვენებურის ბატების ერთბაშს სისინს ყურები ვეღარ გაუძლებს...

—

თუმცა შინაურები ცუდს დღეს გვაყენებენ, მაგრამ ჩვენი ივრის ხიდის „ზასტავის“ უფროსი რომ არ მოვიხსენიო, არ შეიძლება... ბატონო, და ასტეხავს რევოლვერის ჯახა-ჯუხს მეურმეებში... აი, 15-ს ამ თთვისას კაკაბეთიდამ გზატკეცილზე შვიდიოდ ვერსტზე გარეჯელმა გლეხმა ყირმულაშვილმა გამოატარა ღვინის ურემი; „ზასტავამდის“ კიდე ორი გლეხა იქ შებრუნდა, სადაც მისახვევია საგარეჯოსაკენ. ამასობაში გამოუვარდა უფროსი, დაუშინა რევოლვერი, კინაღამ ხარიან და კაციან არ ამოწყვიტა, მაგრამ დიდება ბახუსის მადლს, ხელები უთახთახებდა. იქიდგან ჩარეკა გლეხები და ურმები „ზასტავას“, გამოართვა რვა მანეთი ფული და ეუბნება: „ქალაქისკენ გასწიეთო“. გლეხები ეხვეწებიან,—„ე ფული ხომ წაიღე—თავი დაგვანებე; ჩვენ ქალაქს-კი არა, საგარეჯოს—სახლში მივდივართო“. არა, ტფილისს წადითო, ეუბნება მალიად მაცხონე უფროსი. ერთი დღე აწვალა და აწამა ესე ურემი და გლეხები. ბოლოს მაინც შეაბრალეს თავი და დაბრუნდნენ შინ, ბაჟი-კი ქალაქისა გარდაიხადეს ორკეცად, როგორც ჯარიმა; არც ჩივილი—არც უქდრება.

—

ჩვენის ხეობიდგანაც გათავდა ჯარში გასაყვან კაცთა ამორჩევა. სულ თვრამეტს შეხვდა. სამი „ნემეცებს“, მალაკნებს და რუსებს და თხუთმეტი ქართველებს. ქართველობაში ყველაზე ბევრი გარეჯელებს ერგოთ. ყველას ენანებოდათ ამას წინად ცოფიან მგლისაგან დაგლეჯილის და მერე გარდაცვლილის გლეხის ძმის წაყვანა. დარჩა მოხუცი დედა, თითონ დარჩა გაყრილ ცოლშვილიან შვილის ანაბარას. „კანონით მოხუცი დედა გაყრილმა შვილმა უნდა შეინახოსო, გინდ თითონ ის შვილიც წვრილ-შვილი იყოსო,“—ამბობდნენ და თანაც ნანობდნენ ამომრჩევნი.

აქაურ ამბებს ერთი სასიამოვნო ამბით დავასრულებ. სოფ. კაკაბეთში ახალი მოხელეები უკვე ამოირჩიეს და სხვათა შორის მამასახლისად დაინიშნეს თავიანთი მწერალი, რომელიც დღემდის მეტის-მეტ ოინბაზ მწერლად იყო ცნობილი. წარმოიდგინეთ, ეხლა-კი მეტი მხნე მამასახლისი აღმოჩნდა. სოფლის თავდარიგი დამში მოიყვანა; ასე გასინჯეთ კვირა-უქმით დიდი თუ პატარა ეკკლესიაში აუცილებლივ უნდა იყოს და თუ ვინმე გლეხთაგანმა შუა წირვიდგან გაბედა გამოსვლა, მაშინვე „შტრაფს“ წაართმევს. აგრეთვე „შტრაფავს“ კვირა-უქმის გამტეხს. ამბობენ, შტრაფებსაც სასარგებლო საქმეებისათვის ინახავსო და საწყალ ხალხსაც ძალიან უფთხილდებაო... მოდი და ამის შემდეგ თქვი „ეკალზე ვარდი ვის უნახავსო!..“

—

ორიოდ სიტყვა კიდევ. ცოფიან მგლის მიერ დაგლეჯილი ამ შემოდგომაზედ საგარეჯოში ორი მოკვდა. ერთი ხუთის წლის ყმაწვილი, რომელიც პირით ოცი საჟენი გაარბენინა მგელმა და ძლივს დააგდებინეს, დღესაც უვნებლად არის. მომკვლელი ამ მგლისა ასეთის დიდის სიკეთისათვის არაფრით დაჯილდოვებულ არ იქმნა და არავინ ყურადღება არ მიაქცია, როდესაც კაი ვაჟკაცობა იხმარა.

სოსო

## წვრილი ამბები

— დიუსელდორფში დიდად წინააღმდეგნი არიან თურმე იმისა, რომ ჰენრიხ ჰეინეს ძეგლი დაუდგათო. ისეთი გაზეთებიც-კი გამოჩენილან, რომელნიც ამბობენ, ჰეინე ისეთი მოქალაქე იყო, რომელსაც არც კეთილი სწამდა, არც მშვენიერება, და ამიტომ ღირსი არ არის ძეგლის აგებისაო.

— ირლანდიის პოლიტიკოსები დანიას საკუთარს სამინისტროსა სთხოვენ. მთელს კუნძულზე მკვიდრნი ძალიან აღშფოთებულნი არიან თურმე დანიის მოხელეებზე.

— ჩინეთის პირველს ელჩს, ინგრონგს, რომელმაც მშვენივრად შეასრულა სწავლა კოლუმბიის კოლლეჯში, მიუღია ნება, რომ ივექილოს ნიუ-იორკში.

— იტალიელებს, რომელნიც კუნძულს სარაზედ სცხოვრობენ, პაპისათვის საიუბილეო საჩუქრად გაუგზავნიათ 34 ბოთლი „vino santo“-სი. ამ ღვინოებში 3 ბოთლი 1810 წლისაა, ორი—1857 წლ. და 2 კიდევ—1860 წლისა და სხვანი.

— საფრანგეთის ჯარის-კაცს კარულანდას ფელდმარშალი მოლტკე მოუტყუებია. ამ რამდენისამე ხნის წინად წერილით მიუმართავს მოლტკესათვის ამ ჯარის-კაცს, რომ ახალის საფრანგეთის თოფისა და ამ თოფისავე ტყვიის ყალიბი მაქვს და, თუ გინდათ, მოგყიდითო. მოლტკეს 25 თუმანი გაუგზავნია ახალგაზდა ჯარის-კაცისათვის, რათა კარულანდი გერმანიაში წასულიყო. კარულანდს მიუღია ეს ფულები და ეხლა აცხადებს, რომ მოლტკესაგან მიღებული ფული მამულის-მოყვარეთა საზოგადოებას შევწირე, ელზას-ლორენის საზოგადოებასა და სამხედრო სამკურნალოს ანგულემშიო.

— ჩიკაგოში საკვირველის ავადმყოფობით გარდაცვლილა ერთი ყმაწვილი ქალი. ამ ქალს ბოლოს დროს სენად გარდაექცა თურმე პირ-საქმება, თუმცა-კი შეხედულებით ჯან-საღსა ჰგავნდა. ამას წინად პირ-საქმების შემდეგ პირიდგან გადმოუგდია ცოცხალი კუ. ავადმყოფი ამ საოცარ ამბის შემდეგ თითქმის გადარჩენილი ეგონათ, ხოლო მაშინვე ყველა ასოები დაუსივდა თურმე ქალსა და მეორე დღეს გარდაიცვალა კიდეც. იმ ექიმს, რომელიც ქალსა სწამლობდა, შეუნახავს კუ, როგორც იშვიათი რამ; ამბობენ, განსვენებულს მიჩიგანის ტბის წყალი დაულევია, თან კუს კვერცხი ჩაყოლებია და იმიტომ გასჩენიაო.

— საფრანგეთის საოპერეტტო დასის დირექტორს, რომელიც ამ ჟამად სტამბოლში ჰმართავს წარმოდგენებს, ახირებული საშუალება მოუგონია იმისათვის, რომ ის მომღერალი ქალი და კაცი მოიშოროს, რომელიც საზოგადოებას არ მოსწონს. ანტრაქტების დროს სთხოვს თურმე მაყურებელთ, თავისი აზრი წარმოსთქვან, კარგი თუ ავი, რომელსამე არტისტის უნარზედ. თითოეულს რეცენზიებს მწერალს ათ-ათი ხმა აქვს. ამას წინად ერთი მომღერალი ქალი გაუსტუმრებიათ დასიდგან მაყურებელთა განაჩენის გამო, რამდენისამე დღის შემდეგ ასეთივე საქმე დამართებია კომიკურ როლების მოთამაშეს და ამას მერე ხომ წილი რგებია 60 წლის კომიკურ არტისტ-ქალს, რომელიც დირექტორის სიდედრი აღმოჩენილა. ნეტა ვიცოდეთ, სწორედ ამ სიდედრის მოსაშორებლად ხომ არ მოიგონა თეატრის დირექტორმა ეს საშუალება.

— ფლორენციაში გარდაცვლილა ტუნისის სახელმწიფო კაცი, ჰუსეინ-ფაშა, რომელსაც 8,000,000 მან. დაუტოვებია სამკვიდრო. რადგან ჰუსეინ-ფაშას ანდერძის წერილი არ დარჩენია, ამიტომ ჰუსეინის შეძლება ტუნისის ხაზინას უნდა გარდასცემოდა თურმე. ხოლო 8,000,000 მანათის მემკვიდრენი გამოჩენილან ორი ქალი და ერთი ვაჟკაცი, რომელთაც გამოუცხადებიათ, რომ ჩვენ ჰუსეინის შვილები ვართო.

# დეპეშა

30 ნოემბერი

პეტერბურგი. სენატმა განიხილა საკასაციო საჩივარი საადგილ-მამულო საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავ-მჯდომარედ ნამყოფის გერტსფელდისა, ბუხგალტერის პლემიანნიკოვისა და სხვათა. ეს საჩივარი შეტანილ იქმნა იმ გარდაწყვეტილების გამო, რომელიც დაადგინა პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ, რომ ზემოხსენებულ ბრალდებულთ უნდა გარდახდეთ იუხანცევის მიერ გაფლანგული ფულიო. სენატმა ამ საჩივრის გამო დაადგინა: რადგან გერტსფელდი გარდაიცვალა, მოისპოს ამ საქმის წარმოებაო.

ხმა ისმის, რომ ვითომ სახელმწიფო საბჭომ მოისმინა პროექტი იუსტიციის მინისტრისა იმის თაობაზე, რომ შემცირდეს იურისდიქცია ნაფიც მსაჯულთა.

განზრახვა აქვთ, რომ საემერიტურო კასსები დაარსდეს ყველა სამინისტროში.

ბერლინი. დღეს გავრცელდა ბირჟაზე ხმა, რომ ბისმარკი უქეიფოდ არისო; შემდეგ მოვიდა ამბავი, რომ უკეთ შეიქმნაო. იმპერატორმა უბოძა საბერძნეთის მემკვიდრე პრინცს ვარსკვლავი „შავის არწივის“ ორდენისა.

რომი. იტალიის ელჩი პეტერბურგში, გრეპპი, სამინისტროში გადაიყვანეს.

ლეიპციხი. დღეს დაიწყო განხილვა კაბანესის საქმისა. კაბანესს ჰბრალდება სახელმწიფოს ღალატი. ეს ღალატი ის იყო, რომ კაბანესმა მოიპარა და დამალა ოფიციალური საბუთები და გარდასცა საფრანგეთის სამხედრო მინისტრს. კაბანესმა სთქვა, რომ დამნაშავე ვარ, მაგრამ არ ვიცოდი, თუ ისე საყურადღებო იყო ის საქმე, რომელიც მე მოვიქმედეო.

1 დეკემბერს

პეტერბურგი. გამოცხადებულია წესდება შესახებ იმისა, რომ წერილებისა თუ ამანათის გამგზავნელმა თვითონ-კი არ გადაიხადოს ფოსტის ხარჯი, არამედ გამოერთვას მიმღებს, ადრესატსა. ხარჯ-გადუხდელი კორრესპონდენცია მიიღება მხოლოდ რუსეთის იმპერიის ადგილებში გასაგზავნად და არა საზღვარ გარეთ, გარდა ფინლიანდიისა. ხარჯ-გადუხდელად გაიგზავნება შეკვეთილი წერილები, ბანდეროლიანი და სხვა ამანათები და ფასიანი პაკეტები. კორრესპონდენციაზე გადასახდელი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 100 მანათსა. საკომისიო გადასახადი 2 კაპეიკია მანათზე. უზალოტუნზე ქვევით არას გადაახდევინებენ.

„Новое Время“ სარწმუნო წყაროებით არღვევს „Биржевыя Вѣдомости“-ის ცნობას, ვითომც თავი დაენებებინოთ თამბაქოს მონოპოლიის დაწესებისათვის. მხოლოდ არ არის სასარგებლოდ აღიარებული ამა რეფორმის შემოღება შესყიდვის წესით. მაგრამ თამბაქოზედ ხაზინის სასარგებლოდ გადასახადის დაწესება მიაჩნიათ სასურველად და კიდევაც შეუდგენიათ პროექტი უმთავრეს საფუძველთა, რომელთა მიხედვით უნდა დაარსდეს ეს გადასახადი.

სამხედრო მინისტრმა მისცა წინადადება ფინლიანდიის სენატსა იმის თაობაზედ, რომ ფინლიანდიაში შესდგეს ორი რაზმი ცხენოსან ჯართა.

„Биржевыя Вѣдомости“ გვარწმუნებენ, რომ 1 თებერვლიდამ სპირტისა და არაყის გადასახადთა მომატების პროექტი არ შეიწყნარა სახელმწიფო საბჭომაო.

იგივ გაზეთი გვაცნობებს, რომ რუსეთის მთავრობამ უარი ჰყო 250 მილლიონი სესხი, რომლის რეალიზაციაზე წინადადება მისცა პარიჟის საფინანსო წრემ ლიონის კრედიტისამ. იმიტომა ჰყო უარი, რომ ვალის აღება არ იცნო საჭიროდაო.

„Гражданинъ“-ი გვაცნობებს, რომ საპატიმროთა ინსპექტორების თანამდებობა შემოღებულ იქმნება პირველ ხანად მარტო 8 ან 10 გუბერნიაში. ინსპექტორს მიენიჭება უფლებანი ვიცე-გუბერნატორისაო.

როგორც ხმა ისმის, მინისტრთა კომიტეტმა გარდასწყვიტა მიეცეს ილიმოვსა და მის ამხანაგობას ნავთის მილის გაყვანა აპშერონის კუნძულიდამ ბაქოს ახლო ვიდრე ბაქომდე.

პარიჟი. ახალი სამინისტრო შესდგა ტირარის თავმჯდომარეობით. ტირარმა თანაც აიღო პორტფელი ფინანსთა მინისტრისა. კაბინეტი შესდგა ზომიერ რესპუბლიკელთაგან: გარეშე საქმეთა მინისტრად დარჩა ფლურანსი, შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია სარიენი, იუსტიციის მინისტრად—ფალლიერი, სამხედრო მინისტრად გენერალი ლოეერო, კომანდირი მხედრობის მერვე კორპუსისა.

გუშინ პალატას მიეცა წინადადება შესახებ შემოტანილ ფქვილზე ბაჟის მომატებისა. პალატამ ეს წინადადება გარდასცა საბაჟო კომისიას.

## „ივერიის“ ფოსტა

ქ. პ—ეხ, პ—ე ყ—ნს. თქვენმა უკანასკნელმა წერილმა ძალიან დაიგვიანა და ამისათვის ვერა გბეჭდავთ.

ქ. რ—ხას, ს—ლს. ტყუილად ჰფიქრობთ, ვითომ ჩვენა გწუნობდეთ. ზოგი სხვა მოსაზრებაც გვაქვს. რაც შეეხება უკანასკნელის ნათარგმნ მოთხრობის დაბეჭდვას, ჯერ ვერას გეტყვით, თუ არ დაიბეჭდა, დაგიბრუნებთ.

სოფ. გ—ას, სოსოს. თქვენი წერილი ივრის ხეობიდგან დაიბეჭდება. მადლობელი ვართ.

## პეტერბურგის ბირჟა, 27-ს ნოემბერს.

### ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 9 4 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 180½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული. . . . . . . . | — » | — » | 1 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 275¾ |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 246¼ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | 98½ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | 99 |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . . | — » | — » | 83 |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

დეკემბერი 31 დღით არის

**2 დღე ოთხშაბათი.** წინ.-მეტყ. ამბაკუმისა, ღირს. ეპისკ. ისე წილკნელისა. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. ბიბიანისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-30 რიცხვი თვისა, რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. დაბადება მე-3 იმამის ხინი-ალისა.—სამეგრელოს მფლობელმა თ. გრიგოლ დადიანმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, 1803 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54. ტფილისში მზე ამოდის 7—19, ჩადის 4—31. დაბადება მთვარისა საღამოს 10 საათსა და 25 წუთზედ.

**3 დღე ხუთშაბათი.** წინ.-მეტყ. სოფონისა. კათოლ. წმ. ალმსარ. ფრანცისკა ქსავერიასი. სომეხ. წმ. მამათა ეგვიპტელთა: პავლე, მაკარ და სხვათა. მუსულ. 1-ლი რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 7—20, ჩადის 4—31. მთვარე 2 დღისაა.

**4 დღე პარასკევი.** წმ. დიდ. ქალწ.-მოწ. ბარბარესი და ღირს. იოანე დამასკელისა. კათოლ. ქალწ.-მოწ. ბარბარესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-2 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—55. ტფილისში მზე ამოდის 7—21, ჩადის 4—32. მთვარე 3 დღისაა.

**5 დღე შაბათი.** წმ. საბა განწმენდილისა. კათოლ. წმ. ეპისკ. ალმსარ. პეტრე ხრიზოლოგისა. სომეხ. წმ. ნიკოლოზ საკვირველ-მოქმედ., წმ. გრიგოლ საკვირ.-მოქმედ.; ნიკოლოზ მამათ-მთავრისა. მუსულ. მე-3 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 4—32. მთვარე 4 დღისაა.

**6 დღე კვირა.** წმ. ნიკოლოზ საკვირველ-მოქმედისა. კათოლ. წმ. ეპისკ. ნიკოლოზისა. სომეხ. ალების ლამე სურბ იაკობის მარხვისა. მუსულ. მე-4 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 7—23, ჩადის 4—32. მთვარე 5 დღისაა.

**7 დღე ორშაბათი.** წმ. მოწ. ამბროსისა. კათოლ. წმ. ამბროსისა. სომეხ. მინასი, ერმოგენისა და ევგრაბისა. მუსულ. მე-5 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57, ტფილისში მზე ამოდის 7—23, ჩადის 4—32. მთვარე 6 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | | . . | 3 | » |
| » | 2 | » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | | 5 | » |
| » | » 2— | | 3½ | » |
| » | » 3 | » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | | |
| 1-ლის ხარისხისა | | . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | | . . | 4 | » |
| მე-3 — | | . . | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | | 7 | » |
| » | 2 | » | 6 | » |
| სუკი | | . . . . | 13 | » |
| ძროხის ხორცი | | . . . | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | | 7 | » |
| » | 2 | » | 6 | » |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ი ვ ე რ ი ა“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

**ფ ა ს ი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 » | 5 „ . . . | 5 „ 25 » |
| 10 „ . . . | 8 „ 75 » | 4 „ . . . | 4 „ 75 » |
| 9 „ . . . | 8 „ — » | 3 „ . . . | 3 „ 50 » |
| 8 „ . . . | 7 „ 25 » | 2 „ . . . | 2 „ 75 » |
| 7 „ . . . | 6 „ 50 » | 1 „ . . . | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.



# ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1888 ГОДЪ

на большую ежедневную политическую, общественную и литературную газету

# „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.

**(ГОДЪ ДЕВЯТЫЙ).**

Годъ еще и десять лѣтъ минетъ, какъ издается **„РУССКІЙ КУРЬЕРЪ“**. Этотъ рядъ цѣлыхъ годовъ нашего изданія, пользовавшагося все это время добрымъ вниманіемъ и довѣріемъ со стороны русскаго общества и русскаго народа, добрый откликъ ему со всѣхъ сторонъ Россіи и изъ среды **славянскихъ народовъ**, поддерживаетъ нашу энергію и къ будущему служенію на пользу русскимъ и **славянскимъ интересамъ** и даетъ намъ право высказаться болѣе точно и опредѣленно о задачахъ нашихъ и намѣреніяхъ.

Мы не измѣняемъ и въ будущемъ своего знамени **добросовѣстно** мыслить на общую пользу, **твердо** слѣдовать томуже принципу **правды**, которому слѣдовали и донынѣ. Чутко стоя на стражѣ общественныхъ интересовъ, мы внимательно, какъ и прежде, будемъ слѣдить за всѣмъ, что совершается **внутри** и **внѣ** дорогаго для насъ отечества, что такъ или иначе отражается на его историческихъ судьбахъ. Намъ дороги эти судьбы и потому мы не пропускаемъ ни одного изъ событій, вліяющихъ **положительно** или **отрицательно**, какъ на совершенствованіе русской жизни, такъ и на политическое положеніе Россіи—какъ великой державы, **достоинство**, **могущество** и **слава** которой составляютъ нашу національную гордость. Мысли наши и сердце наше, преисполненныя чувствомъ **истиннаго патріотизма**, всегда готовы со своимъ посильнымъ словомъ сослужить службу всему, что можетъ содѣйствовать **ко благу** родины, къ **преуспѣянію** и **величію русской земли и русскаго народа**.

Вотъ причина, въ силу которой мы съ одинаковымъ вниманіемъ и усердіемъ относимся ко всѣмъ вопросамъ государственной и общественной жизни, поочередно трактуя о дѣлахъ и вопросахъ **политическихъ, административныхъ, законодательныхъ, судебныхъ, городскихъ, земскихъ, финансовыхъ, экономическихъ, торговыхъ, промышленныхъ,** о вопросахъ **народнаго образованія, народнаго здравія** и вообще о всѣхъ соціальныхъ и политическихъ явленіяхъ, имѣющихъ **прямое** или **косвенное** отношеніе къ жизни и къ быту русскаго человѣка.

Историческіе русскіе завѣты и чувство единства нашего національнаго духа съ единоплеменными и единокровными намъ **народами славянскими** заставляютъ насъ зорко слѣдить за судьбами **славянства** и содѣйствовать, по мѣрѣ силъ нашихъ, всему, что можетъ сплотить **славянство** въ одно цѣлое съ нами...

Смерть славныхъ московскихъ публицистовъ **заставила насъ особенно ревниво встать при исполненіи своихъ обязанностей и постараться употребить наши силы къ тому, чтобы послѣдовать, насколько то будетъ возможно, тѣмъ сторонамъ ихъ дѣятельности, которымъ мы сочувствовали при ихъ жизни и которыя остались и понынѣ для насъ симпатичными.**

Въ разработкѣ **„Славянскаго вопроса“** намъ обѣщалъ свое сотрудничество извѣстный славистъ **О. Ѳ. Миллеръ**, профессоръ с.-петербургскаго университета, членъ **с.-петербургскаго славянскаго благотворительнаго общества.**

Въ разработкѣ **славянскаго вопроса** участвуетъ у насъ также извѣстный ученый славистъ **Н. П. Аксаковъ**, со статьями котораго читатели уже знакомы.

Для той-же цѣли установлены нами тѣсныя сношенія со всѣми славянскими землями и имѣются нѣсколько спеціальныхъ корреспондентовъ: **въ Софіи, Константинополѣ, Цетиньѣ, Рущукѣ, Бѣлградѣ, Львовѣ, Вѣнѣ и другихъ славянскихъ городахъ.**

Въ составленіи какъ **„передовыхъ“**, такъ и вообще статей въ газетѣ нашей принимаютъ постоянное участіе, кромѣ самаго редактора-издателя, многіе извѣстные публицисты, профессора, спеціалисты по разнымъ отраслямъ знанія, беллетристы, земскіе и городскіе дѣятели, юристы, филологи, педагоги, агрономы, техники и военные.

На ряду съ руководящими статьями по разнымъ текущимъ вопросамъ, на ряду съ серьезнымъ матеріаломъ, съ различнаго рода извѣстіями о текущихъ дѣлахъ какъ внутри Россіи, такъ и заграницей, съ различными новостями, составляющими вѣчно жгучій интересъ минуты и злобу дня, мы ежедневно удѣляемъ мѣсто въ нашей газетѣ и матеріалу беллетристическому, принаровленному для легкаго чтенія, давая этимъ читателю необходимое развлеченіе въ часы досуга плодами творчества и художественной фантазіи.

Чтобы слѣдить за жизнью Западной Европы и другихъ странъ свѣта, имѣются свои корреспонденты: **въ Нью-Іоркѣ, Парижѣ, Лондонѣ, Берлинѣ** и другихъ городахъ.

Для ознакомленія съ дѣятельностью нашихъ земствъ, городовъ, селъ и деревень и вообще съ жизнію русскаго народа, имѣются въ губернскихъ и уѣздныхъ городахъ, въ селахъ и деревняхъ тоже свои корреспонденты, въ количествѣ до 300.

Въ виду того, что государство наше прогрессируетъ и всѣ органы нашего государственнаго управленія усердно работаютъ, то для своевременнаго ознакомленія съ ихъ дѣятельностью, нами приглашенъ спеціальный корреспондентъ, имѣющій постоянное пребываніе въ С.-Петербургѣ. Его сообщенія ежедневно печатаются въ нашей газетѣ подъ рубрикой: **„О проектахъ и о ходѣ дѣлъ въ государственныхъ учрежденіяхъ“.**

## „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“ выходитъ ежедневно въ форматѣ большихъ газетъ по слѣдующей программѣ:

**I. ПОСТАНОВЛЕНІЯ и РАСПОРЯЖЕНІЯ ПРАВИТЕЛЬСТВА.—II. ОБЗОРЪ ПОЛИТИЧЕСКИХЪ СОБЫТІЙ и ОБЩЕСТВЕННОЙ ЖИЗНИ; ОБСУЖДЕНІЕ „ВОПРОСОВЪ ДНЯ“.—III. ХРОНИКА:** извѣстія—придворныя, военныя, литературныя, художественныя, театральныя, музыкальныя, торговыя и др. Біографія и некрологи.—**IV. ТЕЛЕГРАММЫ.—V. МОСКОВСКІЙ ДНЕВНИКЪ.—VI. МНѢНІЯ РУССКОЙ и ИНОСТРАННОЙ ПЕЧАТИ ПО ТЕКУЩИМЪ ВОПРОСАМЪ.—VII. ЖИЗНЬ РОССІИ:** народное образованіе, земство, городское и крестьянское самоуправленіе, промышленность и торговля; корреспонденціи изъ Россіи; извлеченія изъ журналовъ и газетъ.—**VIII. ИНОСТРАННЫЯ ИЗВѢСТІЯ:** корреспонденціи изъ-заграницы; извлеченія изъ иностранныхъ газетъ.—**IX. ЛИТЕРАТУРНЫЙ ОТДѢЛЪ:** романы, повѣсти, очерки, разсказы, сцены, стихотворенія.—**X. ФЕЛЬЕТОНЪ:** обзоръ явленій внутренней жизни; литературная лѣтопись; обзоръ журналовъ; историческій листокъ; научная хроника; хроника заграничной жизни; театръ и музыка.—**XI. КРИТИКО-БІОГРАФИЧЕСКІЙ ОТДѢЛЪ:** статьи по разнымъ отраслямъ наукъ, искусствъ и промышленности.—**XII. СУДЕБНАЯ ХРОНИКА:** судебные процессы.—**XIII. РАЗНЫЯ ИЗВѢСТІЯ:** случаи, анекдоты и проч.—**XIV. СПРАВОЧНЫЙ ОТДѢЛЪ:** свѣдѣнія—биржевыя, желѣзнодорожныя, театральныя и отвѣты редакціи.—**XV. ОБЪЯВЛЕНІЯ.**

**Въ „РУССКОМЪ КУРЬЕРѢ“ помѣщается ЕЖЕДНЕВНО, НЕ ИСКЛЮЧАЯ ДНЕЙ ПОСЛѢПРАЗДНИЧНЫХЪ И ТАБЕЛЬНЫХЪ: политическое обозрѣніе, разнообразные фельетоны и передовыя статьи по текущимъ вопросамъ и особенное вниманіе обращается на СЛАВЯНСКІЙ ВОПРОСЪ.**

Телеграммы помѣщаются **„Сѣвернаго Телеграфнаго Агентства“** и отъ собственныхъ корреспондентовъ.

**Съ 1887 года размѣръ газеты значительно увеличился и прибавилось 650 строкъ. Всего помѣщается текста, кромѣ объявленіи, до 3,000 строкъ.**

**Въ матеріальномъ отношеніи** газета также поставлена въ благопріятныя условія. Всѣмъ извѣстная состоятельность редактора-издателя газеты представляетъ для подписчиковъ **прочную гарантію** въ цѣлости ихъ подписныхъ денегъ и въ своевременной и правильной высылкѣ газеты.

**Для печатанія газеты** устроена типографія, снабженная новѣйшей конструкціи машинами и аппаратами, въ томъ числѣ скоропечатной англійской машиной **„Викторія“**, печатающей и фальцующей 10,000 экземпляровъ газеты въ часъ, аппараты для стереотипа и два мотора: **газовый и паровой. Для разсылки газеты** въ провинцію имѣется экспедиторъ и для москвы—артель разнощиковъ. **Бумага по заказу нашему получается съ фабрики Кувшинова.**

**РЕДАКЦІЯ, КОНТОРА ИЗДАНІЯ и ТИПОГРАФІЯ помѣщается въ собственномъ домѣ Н. П. Ланина въ Москвѣ.**

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

| СЪ ДОСТАВКОЮ ВЪ МОСКВѢ: | | СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ ВО ВСѢ ГОРОДА: | | ЗАГРАНИЦУ: | |
|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . . . . . . | 9 р. — к. | На годъ . . . . . . . . | 10 р. — к. | На годъ . . . . . . . . | 20 р. — к. |
| „ 6 мѣс. . . . . . . . . | 5 „ — „ | „ 6 мѣс. . . . . . . . . | 6 „ — „ | „ 6 мѣс. . . . . . . . . | 12 „ — „ |
| „ 3 „ . . . . . . . . | 2 „ 75 „ | „ 3 „ . . . . . . . . | 3 „ — „ | „ 3 „ . . . . . . . . | 6 „ — „ |
| „ 1 „ . . . . . . . . | 1 „ 10 „ | „ 1 „ . . . . . . . . | 1 „ 25 „ | „ 1 „ . . . . . . . . | 2 „ 50 „ |

1. **Подписка принимается** съ 1-го по 1-е каждаго мѣсяца и не далѣе конца года.
2. **Гг. иногородніе**, при возобновленіи подписки, благоволятъ прилагать свой печатный адресъ.
3. **За перемѣну** адреса городскаго и иногородняго—30 к. При перемѣнѣ городскаго на иногородній доплачивается разница въ цѣнѣ подписки.

### Тарифъ на объявленія:

За строку петита или за мѣсто, занимаемое ею:

На ПЕРВОЙ страницѣ 20 коп. за стр. ● На ЧЕТВЕРТОЙ страницѣ 10 коп. за стр.

Редакторъ-издатель **Н. П. Ланинъ.**


Дов. цен. Тиф. 1 декабря, 1887 . Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.